საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1734 2026 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

„2026 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის №536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „2026 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის №536 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ყურძენში ავტომატური შაქრის მზომი დანადგარით, რომელშიც ინტეგრირებული იქნება რეფრაქტომეტრი, გარდა იმ ღვინის კომპანიებისა და ყურძნის მიმღები პუნქტებისა, რომელთაც განზრახული აქვთ:

ბ.ა) არაუმეტეს 500 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება;

ბ.ბ) საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ვენახიდან მოწეული ყურძნის მიღება-გადამუშავება. საკუთრების/სარგებლობის უფლება უნდა

დასტურდებოდეს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერით.";

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. შპს მოსავლის მართვის კომპანიამ (ს/ნ: 405406109) უზრუნველყოს 2026 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის ჩამბარებელი მევენახე ფიზიკური პირებისაგან კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნის: 1,50 ლარად – კონდიციური, შაქრიანობა არანაკლებ 21% და დაუზიანებელი; 0,90 ლარად – არაკონდიციური, შაქრიანობა 17%-იდან – 21%-ამდე ან/და ნაწილობრივ დაზიანებული (დაავადებული); 0,30 ლარად – არაკონდიციური, შაქრიანობა 17%-ამდე ან/და დაზიანებული (დაავადებული), ხოლო „ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონით ნებადართული ვაზის ჯიშისგან მოწეული სხვა ყურძნის: 1,30 ლარად – შაქრიანობა არანაკლებ 20% და დაუზიანებელი; 0,80 ლარად – არაკონდიციური, შაქრიანობა 17%-იდან – 20%-ამდე ან/და ნაწილობრივ დაზიანებული (დაავადებული); 0,30 ლარად – არაკონდიციური, შაქრიანობა 17%-ამდე ან/და დაზიანებული (დაავადებული), მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, დამხმარე მასალებისა და დანადგარების შესყიდვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო რესურსების მოძიება საფინანსო ინსტიტუტებიდან.".

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე